პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№253 (5023)

1973 წ.
21 დეკემბერი,
პარასკევი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

[illegible] 19..

◆ ნატალი, 20 დეკემბერი. სსრ კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრები ბრაზილიის ამ ქალაქში შეხვდა ადგილობრივ გუნდს, რომელსაც „აბც“ ჰქვია. ეს გუნდი რიუ-გრანდი-დუ-ნორტის შტატის ჩემპიონია. თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2 (1:1). სტუმართაგან გოლები გაიტანეს ფედოტოვმა (მე-20 წუთზე) და ონიშჩენკომ (50).

მოქმედების პროგრამა

კომკავშირის კომიტეტებს პროფკავშირთა საბჭოებთან, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებთან, დოსააფის კომიტეტებთან ერთად წინადადება მიეცათ ფართოდ გაშალონ მუშაობა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის შეჯიბრებათა მომზადებისა და ჩატარებისთვის. ეს აღნიშნულია პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივ დადგენილებაში სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ჩატარებაში პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული ორგანიზაციების და დოსააფის კომიტეტების ამოცანების შესახებ. ეს შეჯიბრება ეძღვნება დიდ სამამულო ომში (1941-45 წ.წ.) საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს და ტარდება დევიზით — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“.

საჭიროა მასობრივი შეჯიბრებების მოწყობა ფიზკულტურის კოლექტივებში, მშრომელთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა ფართოდ ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, საჭიროა სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვის გაზრდა, ფიზკულტურის კოლექტივებისა და დოსააფის პირველადი ორგანიზაციების განმტკიცება საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად ზრუნვა ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა მასობრივად ჩაბმისთვის, სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრებათა გამართვისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია არსებული სპორტული ბაზებისა და სპორტულ-ტექნიკური კლუბების მოვლა-პატრონობა, ახალი სპორტული ობიექტების აგება, მათი აღჭურვა თანამედროვე აპარატურითა და მოწყობილობით.

ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების სპარტაკიადების პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს შეჯიბრებები მშდ კომპლექსში შემავალ სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. ეს შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს დასვენებისა და საზეიმო დღეებში წარმოებისგან თუ სწავლისგან მოუწყვეტლივ, საზეიმო ვითარებაში.

სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების დროს ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის, მათში საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებების: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგულების, იდეური რწმენის, მორალური სიწმინდის, ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაღვივებას.

დადგენილებაში მითითებულია, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში ჩატარდება 1974-1975 წლებში ოთხ ეტაპად. პირველი ეტაპია მასობრივი შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში, მეორე — სპარტაკიადები რაიონებსა და ქალაქებში, მესამე — სპარტაკიადები ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, რსფსრ-ს ზონებში, მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსკოვსა და ლენინგრადში. მეოთხე ეტაპია ფინალური შეჯიბრებები, რომლებიც მოეწყობა მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე, ვორონეჟში, გროზნოში, კალინინში, კურსკში, ორიოლში, პოლტავაში, ტერნოპოლში, ხარკოვში, იაროსლავლში, ტრაკაიში, კაუნასში.

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ხელმძღვანელობა და ორგანიზაცია ეკისრებათ ფიზკულტურისა და სპორტის, აგრეთვე, დოსააფის კომიტეტებს. ამ მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაებან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებიც. (საქინფორმი).

სარხოიანი მერვეა...

ევროპის მაგიდის ჩოგბურთელთა კავშირმა გამოაქვეყნა კონტინენტის საუკეთესო ოცეულები ამ სახეობაში ქალთა და ვაჟთა შორის.

ქალთა სიას სათავეში უდგას შესანიშნავი უნგრელი სპორტსმენი ბ. კიშხაზი. II ადგილზეა ჩეხოსლოვაკიელი ა. გროფოვა. სიაში მესამეა საბჭოთა სპორტსმენი ზ. რუდნოვა, რომელიც ანალოგიურ სიაში წინა კლასიფიკაციით პირველი იყო. საბჭოთა სპორტსმენთაგან სიაში არიან, აგრეთვე, ე. ანტონიანი (IX), ა. გედრაიტიტე (XI), ს. ფიოდოროვა (XIV).

ვაჟთა შორის პირველ ორ ადგილზე არიან შვედები ს. ბენგტსონი და ჩ. იუჰანსონი. ბენგტსონი წინა კლასიფიკაციითაც პირველი იყო. III ადგილზეა იუგოსლაველი ა. სტიპანჩიჩი.

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესოა ბათუმელი ს. სარხოიანი — VIII ადგილი. IX ადგილზეა მოსკოველი ს. გომოზკოვი. ოცეულში შედის ლვოველი ა. სტროკატოვიც — XVI ადგილი.

საკლასიფიკაციო სიაში ყველაზე მეტი წარმომადგენელი სსრ კავშირსა და უნგრეთს ჰყავთ—7-7. საუკეთესოთა შორის 6 ჩოგბურთელია ჩეხოსლოვაკიიდან, 5-5 — შვეციიდან და იუგოსლავიიდან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ-73

● მოსკოვი, 19 დეკემბერი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დღეს კვლავ აურაცხელმა მაყურებელმა მოიყარა თავი: გაიმართა გაზეთ „იზვესტიის“ პრიზის ტრადიციული გათამაშების მორიგი მატჩები. დღისით მეტისმეტად მწვავე ბრძოლაში ჩატარდა შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტების ნაკრები გუნდების შეხვედრა. ანგარიშით 4:2 (1:0, 3:2, 0:0) გაიმარჯვეს შვედებმა. საღამოს ყინულის სარბიელზე გამოვიდნენ სსრ კავშირისა და ფინეთის კოლექტივები. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა — 7:0 (3:0, 3:0, 1:0). ახლა სსრ კავშირის ნაკრებს 6 ქულა აქვს, ჩეხოსლოვაკიის გუნდს 4 ქულა დაუგროვდა, ხოლო შვეციისა და ფინეთის კოლექტივებს — 2-2.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ჰოკეისტთა შეხვედრის მომენტი; მარჯვნივ — თამაშობენ სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდები.

ა. სააკოვის ფოტოები.

● დუბნა, 19 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 10 ტურის შემდეგ ლიდერობს მ. ტალი, რომელსაც 7 ქულა აქვს. II ადგილზეა ე. ვასიუკოვი — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. მოწინავეთა შორის არიან: ა. ლუტიკოვი — 6,5, საერთაშორისო ოსტატი ლ. ესპიგი (გდრ) — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. რ. ხოლმოვს 4,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს. ფინიშამდე 5 ტური დარჩა. შეჯიბრებაში მონაწილეობს 16 მოჭადრაკე, მათ შორის — 8 დიდოსტატი.

● **ედმონტონი** (ალბერტის პროვინცია), **19 დეკემბერი.** კანადაში თავისი ტურნეს დროს პირველად დამარცხდა სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრები: ამ ქალაქში ანგარიშით 6:8 წააგო ადგილობრივ „ოილ კინგსთან“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ-73

რასისტული მასკარადი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები სიამოვნებით იფშვნეტენ ხელებს: ამ ბოლო ხანს მათს საყვარელ „სპორტის დესეგრეგაციის“ თემაზე ორი სპექტაკლი მოეწყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ორ ზანგ სპორტსმენს— მოკრივე ფოსტერს და ჩოგბურთელ ეშს ვიზები მისცეს (გაუგონარი ამბავი!) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შესასვლელად. ზანგმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ამ ქვეყანაში გამართულ შეჯიბრებებში. სპორტის მინისტრმა კორნჰოფმა ფოსტერისა და ერთ-ერთი თეთრკანიანი მოკრივის მატჩის შემდეგ გულაჩუყებულმა თვალებზე ცრემლი შეიმშრალა და თქვა, დიდებული საღამო იყოო. ფინანსთა მინისტრმა დიდერიხსმა განაცხადა, მატჩის დროს არავითარ რასობრივ სხვადასხვაობაზე არ მიფიქრიაო.

ჩვენ არ ვიცით, იზიარებდნენ თუ არა ამ აღფრთოვანებას ფერადკანიანი მაყურებლები, რომლებიც ტრიბუნებზე „მხოლოდ ფერადკანიანებისთვის“ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებზე ისხდნენ, როგორც საერთოდ წესად აქვთ აპარტეიდის ქვეყანაში.

რასისტების მიერ საგანგებოდ მოწყობილ მასკარადს ფარდა ახადეს სამხრეთ აფრიკის ძირითადი მოსახლეობის სპორტულმა ლიდერებმა. არარასობრივი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიდლტონმა განაცხადა, ფერადკანიანი ათლეტები ანკესზე არ წამოეგებიან, ყურადღებას არ მიაქცევენ მთავრობის ჟესტებს რამდენიმე უცხოელის მიმართ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სპორტის ორგანიზაცია მთლიანად თეთრკანიანთა ხელშია.

მკაცრად მოსთხოვეს პასუხი ამერიკელ სპორტსმენებსაც, რომლებიც რასისტებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამეფებული ძალადობისა და უუფლებობის უსიამოვნო სურათის შირმად გამოიყენეს. „თქვენ რომ აქ იაროთ, — უთხრა მათ ტრანსვაალის არარასობრივი საფეხბურთო კავშირის მდივანმა ბხამჯიმ, — ჩვენ ერთ საუკუნეს ვერ მივაღწევთ იმას, რისთვისაც ვიბრძვით“.

ამერიკის წარმომადგენელთა პალატის წევრმა დიგსმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ეშისა და ფოსტერის გამოსვლას „უდიდესი სიცრუე“ უწოდა. ეს სიტყვები უაღრესად ზუსტად გამოხატავს რასისტების მიერ მოწყობილი ფარსის დედაარსს!

(საქინფორმის კორ.).

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც მოსკოვში მოეწყო 19 დეკემბერს, განიხილა X ოლიმპიური კონგრესის შედეგების საკითხი. მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრიანოვი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ კონგრესის მოწვევა ოლიმპიური მოძრაობის პროგრესული ძალების და, პირველ ყოვლისა, სოციალისტური ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციათა გამარჯვებაა. კონგრესის წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბულგარეთის ორგანიზაციების მიერ ამ სპორტული ფორუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად გაწეულმა მუშაობამ.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კონგრესის რეკომენდაციები და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 74-ე სესიის გადაწყვეტილებები ამ კონგრესის შედეგების თაობაზე ხელს შეუწყობს ოლიმპიური მოძრაობის შემდგომ დემოკრატიზაციას, პროგრესული ძალების კონსოლიდაციას, მისი როლის ამაღლებას ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებაში, მასობრივი სპორტის განვითარებაში.

პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ღონისძიებანი 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიადის მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის უარი სანტიაგოს სტადიონზე საბჭოთა გუნდის გამოსვლაზე. მან დაგმო ამ საკითხში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პოზიცია, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ოლიმპიურ იდეალებს.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმისა და პლენუმის შემადგენლობაში აირჩიეს ახალი წევრები.

რამდენიმე სტრიქონით

◆ **ფოთი**

გეგეჭკორის სახელობის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ტურისტულ ლაშქრობაში, რომელიც მშდ კომპლექსის ნორმატივის ჩაბარებასაც ითვალისწინებდა. ლაშქრობის მარშრუტი ასეთი იყო: ტექნიკუმი — იპოდრომი — პლაჟი — ტექნიკუმი. მოსწავლეებმა ლაშქრობისას 30 კილომეტრი გაიარეს. მშდ კომპლექსის ნორმატივი ყველამ ჩააბარა.

დ. მალანია,
ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

◆ **ზესტაფონი**

სოფელ ცხრაწყაროს სკოლაში არცთუ დიდი ხნის უკან დაიწყო ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობა გ. მახათაძემ, მაგრამ მას შემდეგ უკვე ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. სკოლაში მოეწყო მოედნები, მძლეოსნური სექტორები, გაიმართა შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

ბ. გაჩეჩილაძე.

[illegible]

გამოხმაურება წერილზე — „ფიზიკური კულტურა და მოსწავლე“

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა — ყურადღების ცენტრში!

ჩვენი ყურადღება მიიქცია გაზეთ „ლელოს“ 13 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „ფიზიკური კულტურა და მოსწავლე“. სტატიის ავტორია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ცაგარელი.

დადგენილია, რომ ფიზკულტურისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა საკმარისი არ არის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ მოსწავლეთა ორგანიზმისთვის მავნებელ ჰიპოდინამიასთან და სტატიზმთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მოძრაობის რეჟიმის გაზრდით და ფიზკულტურის უფრო ფართოდ გამოყენებით. მასვე მოჰყავს მაგალითი რიგის ექსპერიმენტული სკოლის გამოცდილებიდან, სადაც ფიზკულტურის გაკვეთილები ყოველდღე ტარდება. ავტორი სვამს კითხვას: რატომ არ შეიძლება ეს ჩვენს სკოლებშიც გაკეთდეს? მას შემოაქვს, აგრეთვე, საჭირო და დროული წინადადება, რომ სპორტული და სხვა საინტერესო ტელეგადაცემები ეწყობოდეს 20-დან 22 საათამდე, რაც, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება არა მარტო მოსწავლეთათვის, არამედ თითოეული ჩვენგანისთვისაც.

კარგი იქნება, თუ VIII კლასიდან სკოლები დაიყოფა ჰუმანიტარულად და ფიზიკა-მათემატიკურად, რაც ხელს შეუწყობს ბავშვებს საყვარელი საგნის უკეთ დაუფლებაში. თუმცა, ეს მომავლის საქმეა.

დღევანდელი სკოლის ფიზიკური აღზრდის სისტემას თან ახლავს წინააღმდეგობები. ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვეძიოთ, ვიკვლიოთ ორგანიზაციის ახალი ფორმები, ახალი საშუალებები. რაც შეეხება რიგის ექსპერიმენტული სკოლის მაგალითის გადმოტანას ჩვენს პირობებში, ეს ჯერჯერობით შეუძლებელია. ჩვენში ყველა სკოლას როდი აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზები და მოედნები, საცურაო აუზები და სხვ. ჯერჯერობით ბევრ სკოლას სპორტული დარბაზიც კი არ გააჩნია. ამიტომ პირველ ყოვლისა საჭიროა ყველა სკოლას შევუქმნათ სათანადო მატერიალური ბაზა.

ნებისმიერ პირობებში დიდი როლი ენიჭება ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს. მის ცოდნაზე, უნარზე, ინიციატივაზე, საქმისადმი სიყვარულზე დამოკიდებულია ბავშვის ფიზიკური აღზრდის საქმე.

მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება დაწყებითი კლასების მასწავლებლებზე. სწორედ აქ გვჭირდება კარგი სპეციალისტები, რათა ბავშვებს თავიდანვე ჩაუნერგონ საგნის სიყვარული და სწორად წარმართონ მათი ფიზიკური განვითარება.

საჭიროა მოსწავლეები დაწყებითი კლასებიდანვე შევაიარაღოთ ფიზკულტურული ცოდნით, გამოვუმუშაოთ აუცილებელი ჩვევები, ვასწავლოთ თავისუფალ დროს ფიზიკური აღზრდის საშუალებათა მიზანშეწონილად გამოყენება.

ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკ გ. ჯაფარიძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი. მან გვიჩვენა აშკარა შეუსაბამობა პირველკლასელთა გონებრივ დატვირთვასა და მოძრაობითი აქტივობის მოცულობას შორის. გ. ჯაფარიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ პირველკლასელთა დღის რეჟიმში გათვალისწინებული იქნეს დიდი დასვენებები 45 წუთის ხანგრძლივობით მოძრავი თამაშებისა და სხვა ფიზიკური ვარჯიშების ჩასატარებლად იმ დღეებში, როცა „ფიზიკური კულტურა“ ცხრილით არ არის გათვალისწინებული.

ამ სიახლის ფართოდ დანერგვა ჩვენს სკოლებში დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული და კარგი იქნება, თუ განათლების სამინისტრო დაგვეხმარება საკითხის გადაწყვეტაში.

მოძრავი ხალხური თამაშების შეკრებისთვის, მათი მეთოდურად, მიზანშეწონილად გამოყენებისთვის ბევრი იშრომეს ჩვენმა სპეციალისტებმა ნ. მიმინოშვილმა, გ. მერკვილაძემ, ზ. მერაზადიშვილმა და სხვებმა, მაგრამ მათ მიერ გამოცემული კრებულების შოვნა დღეს თითქმის შეუძლებელია.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძრავი ხალხური თამაშების მოწყობას ველად, ლამაზ გარემოში. გარდა ფიზიკური განვითარებისა, სწორად შერჩეული მოძრავი თამაში მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდასაც უწყობს ხელს.

დოცენტი ვ. ელაშვილი „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბეში“ (1973 წ.) დაბეჭდილ ნაშრომში — „ქართული მოძრავი თამაშები ბავშვთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის სამსახურში“ აღნიშნავს: „თამაში ბავშვი შეჰყავს ცხოვრებაში, აკავშირებს გარემო სამყაროსთან და ბუნებასთან. იგი თამაშის დროს ყველაფერს აკვირდება და იწყებს ფაქტების დაპირისპირებას, ერკვევა სიტუაციებში. ბავშვები იძენენ ცოდნას, აუმჯობესებენ მოძრაობით მოქმედებებს. ისინი თანდათანობით ებმებიან შრომით ცხოვრებაში და საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ხდებიან...“

ჩვენი აზრით, სასწავლო პროგრამებში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს არა მარტო მოძრავ თამაშებს, არამედ მათი ჩატარების მეთოდიკასაც, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ამ თამაშების ჩაწერა-შეკრება და დამოუკიდებლად გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურისტულ ლაშქრობებს, ეს ლაშქრობები სისტემატურად უნდა ტარდებოდეს, შერწყმული იყოს მოძრავ და გასართობ თამაშებთან. ამას გარდა, საჭიროა ყველა სკოლაში დავნერგოთ გამამხნევებელი ვარჯიში გაკვეთილების დაწყებამდე.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები დაგვეხმარება მოსწავლეთა გონებრივი დატვირთვისა და ფიზიკური აქტივობის სწორ მონაცვლეობაში.

ს. ოხანაშვილი,

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მეორე გამარჯვება

კიევი, 19 დეკემბერი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელები და კაუნასის „ჟალგირისი“. შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — ლიტვის გუნდი წლეულს ერთობ სუსტად გამოდის. გათამაშების სტარტზე მან ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო, მერე გაიმარჯვა რიგის არმიელებთან ორთაბრძოლაში (87:83) და ისევ ხუთჯერ დამარცხდა. „ჟალგირისი“ დღევანდელი შეხვედრისთვის 1 ქულით (9 თამაშიდან) ბოლო ადგილზე იყო.

არც კიევის არმიელებს აქვთ უკეთესად საქმე. 3 ქულა, რაც მათ 10 მატჩის შემდეგ დააგროვეს, არ იძლეოდა „მშვიდი ცხოვრების“ გარანტიას.

დღეს კიეველი კალათბურთელები ისევ დამარცხდნენ — 55:77 (22:36). არმიის სპორტული კლუბის გუნდს 3 ქულა დარჩა, ხოლო „ჟალგირისმა“, როგორც იქნა, გადააბიჯა საბედისწერო „ერთიანს“.

● ●

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	11	10	1	1037—871	10
„სპარტაკი“	10	9	1	738—642	9
„კალევი“ —	10	7	3	781—694	7
„დინამო“ (მ.)	11	6	5	879—879	6
„სტროიტელი“	10	4	6	785—785	4
„დინ.“ (თბ.)	11	4	7	858—905	4
ასკ (კიევი)	11	3	8	795—891	3
ასკ (რიგა)	9	3	6	687—750	3
რტი	9	3	6	655—753	3
„ჟალგირისი“	10	2	8	724—769	2

რაგბი

„ლოკომოტივი“ „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 19 დეკემბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) „ლოკომოტივი“ (სოფია) 20:4 (6:0).

თბილისი: მოდებაძე (ახლანიკაშვილი), ფეტვიაშვილი, ცხვედიანი, ხანებლიძე (ლაზიშვილი), ლიბრაძე, კემულარია, ჩუბინიშვილი, თემურ რუხაძე, ხარშილაძე, კილასონია, გელა მიქაბერიძე, თენგიზ რუხაძე, ჟღენტი, გივი მიქაბერიძე, კაპანაძე (გეგეშიძე).

სოფია: ილჩევი, ნანჩევი, სოკოლოვი, ნიკოლა ნაიდენოვი, მილოჩკოვი, ცვეტკოვი (გიორგიევი), ბორისოვი (კაზანჯიევი), კრისტანოვი, კ. ვილინოვი, მლადენოვი, ალექსანდრუ, ხ. ვილინოვი, ტომოვი, ნაიდენ ნაიდენოვი, პეტკოვი.

მსაჯი ს. მელითაური (თბილისი).

სოფიის „ლოკომოტივი“ ბულგარეთში საკმაოდ პოპულარული კოლექტივია. რკინიგზელთა გუნდი ამ ქვეყნის თოთხმეტგზის ჩემპიონია, თუმცა თვით კოლექტივს ჯერ მხოლოდ 15 წლის ისტორია აქვს. „ლოკომოტივის“ ხუთი რეგბისტი ქვეყნის ნაკრების წევრია, გუნდის თავი კ. კრისტანოვი კი ნაკრების კაპიტანიცაა. ერთი სიტყვით, თბილისელებს საკმაოდ გამოცდილ კოლექტივთან ჰქონდათ საქმე. სტუმართა შორის იყო ბულგარეთის ნაკრების სამი წევრი — კრისტანოვი, პ. მლადენოვი და ნიკოლა ნაიდენოვი, რომლებმაც მართლაც თავგანწირულად ითამაშეს. ბულგარელები თავს არ ზოგავდნენ, რომ თავიანთი მაღალი რეპუტაცია არ შეელახათ, მაგრამ მასპინძლები, რომლებმაც წლევანდელ რესპუბლიკურ და საკავშირო ჩემპიონატებში შარშანდელი პოზიციები დათმეს, ახლა განსაკუთრებული მონდომებით იბრძოდნენ და მეტოქეს თავიდანვე ტემპიანი თამაში შესთავაზეს.

სტუმრებმა გამოწვევა მიიღეს. მინდორზე საინტერესო, დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. გუნდის მწვრთნელმა გ. მარინკინმა ძლივს რომ მოვიხელთეთ, თითქოს ბოდიშის მოხდით გვითხრა:

— ხომ იცით, ბიჭები საერთაშორისო შეხვედრის დროს მუდამ ღელავენ, მინდორზე გასვლამდე თუ არ დააწყნარე, მერე მდგომარეობის გამოსწორება გაჭირდება. თქვენს დედაქალაქში გუშინწინ ჩამოვედით. თბილისელებმა კარგი მასპინძლობა გაგვიწიეს. ორ დღეში იმდენი რამის ნახვა მოვასწარით, თქვენი დედაქალაქი უკვე მშობლიურად მიგვაჩნია.

მარინკინი ლაპარაკობდა და თან გაფაციცებით თამაშს გასცქეროდა, პასუხს ისე გვაძლევდა, მინდორს თვალს არ აშორებდა:

— ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ლიგაში ცხრა გუნდი თამაშობს;

— საბჭოთა კავშირში პირველად ვართ;

— ეს მატჩი ურთიერთშეთანხმებით ეწყობა. ჩვენს დღევანდელ მასპინძლებს აპრილში სოფიაში მივიწვევთ. ვეცდებით ვალში არ დავრჩეთ;

— მატჩის შედეგზე ვერაფერს გეტყვი. ჩვენი სურვილი ალბათ გასაგებია: მოგება გაგვახარებს...

ამ სიტყვების შემდეგ მარინკინი მოულოდნელად გაგვექცა — ბრძოლის ადგილს მიაშურა, ბიჭებს რაღაც უკარნახა. ღელავდა, ბრძოლის მსვლელობას ძალიან განიცდიდა.

... თბილისელებს ვერ იცნობდით, ისინი მეტად ლაღად, თავისუფლად, გაბედულად თამაშობდნენ და თანდათან მდგომარეობის ბატონ-პატრონები გახდნენ. მთელი კოლექტივი მუშტივით შეიკრა.

ანგარიში მე-14 წუთზე გაიხსნა: თემურ რუხაძემ მეტოქეებს ბურთი „მოჰპარა“ დრიბლინგით საკმაო მანძილზე ატარა და კარგ მდგომარეობაში მყოფ მოდებაძეს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა შეძლო სტუმართა დაცვას გასხლტომოდა და ბურთიანად ბულგარელთა ჩათვლის მოედანში შესულიყო. კილასონიამ რეალიზაციაც გამოიყენა — 6:0.

პირველმა წარმატებამ მასპინძლებს ფრთები შეასხა. ჩვენებმა ტემპს კიდევ უმატეს, მაგრამ პირველმა მარცხმა სტუმრებიც უფრო დარაზმა და თამაში გაცილებით საინტერესო გახდა. ორმხრივ იერიშებში საგოლე მომენტები იქმნებოდა ხან ერთი, ხანაც მეორე გუნდის ჩათვლის მოედნის სიახლოვეს...

მეორე ტაიმი ბულგარელთა მძაფრი იერიშით დაიწყო. 50-ე წუთზე სტუმრები მიზანთან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ თბილისელ მცველთა თავგანწირულმა თამაშმა მათი იერიში ჩათვლის მოედნის ხაზის წინ ჩაშალა.

თამაში ერთხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მერე ინიციატივას ისევ მასპინძლები დაეუფლნენ. სოფიელ რეგბისტთა დაცვის დასახმარებლად სულ უფრო მეტი ძალა იყრიდა თავს. თბილისელთა გამუდმებულ იერიშს 58-ე წუთზე მთელი ძალების მარჯვენა ფლანგზე დაგროვება მოჰყვა, მარცხენა ფლანგზე თავისუფლად მდგომი ცხვედიანის მისამართით გაგზავნილი ბურთი ზუსტად აღმოჩნდა და მან თავისი გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა 10:0.

ამ ანგარიშმა 13 წუთს გაძლო, მანამ, სანამ მოდებაძემ, რომელიც განსაკუთრებული თავგამოდებით თამაშობდა, თბილისელთა მიერ ცენტრიდან დაწყებული კომბინაცია მარცხენა ფლანგზე მეტოქის ჩათვლის მოედანში თავგანწირული ნახტომით არ დააგვირგვინა. რეალიზაცია თენგიზ რუხაძემ ზუსტად დაარტყა — 16:0.

საფინალო სასტვენამდე 9 წუთი რჩებოდა. შეხვედრის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. ბულგარელთა ამოცანა ახლა ისღა იყო, რომ „მშრალი“ ანგარიშისთვის თავი როგორმე დაეღწიათ. ეს შეძლეს კიდეც — მასპინძელთა ჩათვლის მოედნის ხაზთან დანიშნული შერკინებისას თბილისელებს ძალით აჯობეს და ბურთი მოგებისთანავე მასპინძელთა მოედანზე დადეს.

ბოლო წუთზე თენგიზ რუხაძის მიერ გატანილ გოლს მატჩის დამთავრების მაუწყებელი ნიშანი მოჰყვა.

მარინკინმა გვითხრა: მიკვირს, ასეთი კარგი გუნდი საკავშირო პირველობაში საპრიზო ადგილზე როგორ ვერ გავიდაო.

ო. გელაშვილი.

სურათზე: ნიჩბოსანთა ტრადიციული შეჯიბრების სანახავად მდინარის ნაპირზე სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებული რაიონების ათასობით მცხოვრები იყრის თავს.

ვია — ხაკდესის ფოტო.

✦ ლაგოდეხი

რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ფეხბურთსა და კალათბურთში. მძლეოსნობაში პირველობა მოიპოვეს ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ველოსპორტში — შრომის, ფეხბურთში — ყარსუბნის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. გოგონებშიც და ჭაბუკებშიც ყველას აჯობეს ბაისუბნის საშუალო სკოლის კალათბურთელებმა.

ჯ. ჯიბლაძე,

ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაული, რომელიც მარადჟამს შენთან არის

ბოლოს დიდი ფარიკაობა თბილისშიც მოვიდა! მოფარიკავეებს, რომელთა შორის მსოფლიოს გვირგვინოსანი და უგვირგვინო მუშკეტერებიც არიან, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისკენ გზის გამოგნება არ გასძნელებიათ. ისინი ჩამოვიდნენ საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ აღიარებულ საფარიკაო ცენტრში, რომელიც 13 წლის წინათ საფარიკაო დედაქალაქიც გახლდათ. სწორედ 13 წელი გვაშორებს სსრ კავშირის თასის გათამაშებას. ეს შეჯიბრება მაშინ თბილისში გაიმართა. მოფარიკავე ვაჟთა სამივე დიდი პრიზი საქართველოს წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს... ასე რომ, თასის წლევანდელი გათამაშების წინ როგორც სპორტსმენებს, ისე გულშემატკივრებს, ფარიკაობის მოყვარულთ სასიამოვნო მოგონებები აღეძვრით.

აღარ არიან სარბიელზე 1960 წლის ტრიუმფატორები: საოცრად პლასტიკური და ელვასავით სწრაფი კოსტავა, შეუპოვარი და ემოციური ოსიპოვი, უდრეკი რაინდის სახელით ცნობილი ასათიანი. მათი მახვილი წლების მანძილზე გამარჯვებებს იმკიდა, ახლა კი ამ შეუდარებელი მუშკეტერების სახელები თავისებურ სიმბოლოდ მიუძღვით წინ მათს მემკვიდრეებს, ახალგაზრდა ქართველ მოფარიკავეებს. მათ, ფარიკაობის ქართული სკოლის წარმომადგენლებს, თასის ახლანდელი გათამაშების მასპინძლებს, ბევრს ავალებთ წინამორბედთა სახელოვანი ტრადიციები. რა თქმა უნდა, მათ ვერც ის შეაკრთობთ, რომ საბჭოთა ქვეყნის საფარიკაო ელიტა თბილისს 13 წლის შემდეგ ეწვია. ბოლოს და ბოლოს, ციფრი 13 მხოლოდ უიმედო პესიმისტებისა და ცრუმორწმუნეთათვის არის საშიში. ბედნიერად დაჰბედებოდეთ მათ ეს „უიღბლო“ ციფრი. ხუმრობა იქით იყოს და ჩვენს მოფარიკავეებს მასპინძლობამ დიდი პასუხისმგებლობაც დააკისრა.

საინტერესოა, რა სურათს დაინახავდნენ თანამედროვე ახალგაზრდა მოფარიკავეები, 1960 წელს დეკემბერში ლენინის სახელობის სპორტდარბაზში რომ მსხდარიყვნენ და ჩემი თაობის სპორტსმენების დარად გაფაციცებით ეცქირნათ ქვეყნის საუკეთესო მუშკეტერების ასპარეზობისთვის? ისინი ნახავდნენ არაჩვეულებრივ საფარიკაო დღესასწაულს, ნახავდნენ მსოფლიო კლასის ასპარეზობას, რაინდობას, წარმოუდგენელ სიმძაფრესა და გამარჯვებისკენ სწრაფვას...

... კიდევ რას ნახავდნენ ჩვენი ახალგაზრდა მოფარიკავეები 1960 წლის იმ დაუვიწყარი დეკემბრის დღეებში? ისინი უთუოდ განცვიფრებული დარჩებოდნენ ი. ოსიპოვის სპორტული გმირობით. ნახავდნენ, როგორ უახლოვდებოდა და შორდებოდა ერთი ფინალური შეხვედრის მანძილზე ქერათმიანი მუშკეტერი სანუკვარ თასს, როგორ უღალატა მას არა სპორტულმა სიმამაცემ და ოსტატობამ, არამედ ბედმა. ვინ იცის, რამდენჯერ არ აინთო მისი ელვისებური ჩხვლეტის შემდეგ მეტოქის ზურგს უკან ელექტროფიქსატორის ფერადი ნათურა, როგორ დაიწყო ხელმეორედ მის მიერ მოგებული ბრძოლა თავიდან და როგორ გამოგლიჯა მეტოქეს, ელექტროფიქსატორს, ბედს და, თუ გნებავთ, ოდნავ პედანტურ მსაჯებს განმეორებით გამარჯვება.

კიდევ რას ნახავდნენ ახალგაზრდა მოფარიკავეები 13 წლის წინანდელ თასის გათამაშებაში? ისინი ნახავდნენ, როგორ ადიოდნენ საპატიო კვარცხლბეკზე ამჟამად უკვე ფარიკაობის კლასიკოსებად ქცეული გ. კოსტავა და ნ. ასათიანი, რომლებიც ითლად გაუსწორდნენ თავიანთ მრისხანე მეტოქეებს. დიახ, სპორტული იღბალი, თუ კი ასეთი რამ არსებობს, მუდამ ან თითქმის მუდამ მხოლოდ ძლიერთა მხარესაა. სხვათა შორის, ეს მოსაზრება ახლაა ასე ნათელი, თორემ იმ დროს ზოგიერთ სკეპტიკოსს სხვანაირად ეგონა. ქართული ფარიკაობის ტრიუმფი თასის გათამაშებაში მათ მიაწერეს ყბადაღებული საკუთარი კედლების უპირატესობას. მათი მსაჯული თვით დრო აღმოჩნდა. ერთ წელსაც არ გაუვლია და ლენინგრადის საკავშირო ჩემპიონატში თასის მფლობელებმა კვლავ დაამტკიცეს თავიანთი ძალა და უნარი.

კაცმა რომ თქვას, საკავშირო თასს იმ წლებში მუდამ ჰქონდა ერთგვარი ქართული „კოლორიტი“. საქმე ისაა, რომ ჩვენი მოფარიკავეები მუდამ თასის მაძიებელთა უპირველეს რიგში იდგნენ. საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც 1963 წელი, რომელიც ესოდენ იღბლიანი გამოდგა კიდევ ერთი მოწინავე ქართველი მოფარიკავისთვის მ. სახვაძისთვის. მძაფრ ბრძოლებში მან ლენინგრადში გამართულ თასის გათამაშებაში სანუკვარი პრიზი დაისაკუთრა. თასის გათამაშებაში გამარჯვებასთან სხვადასხვა დროს ძალიან ახლოს იდგნენ ქართველი მოფარიკავეები ნ. ჩიტიშვილი, მ. კოხრეიძე, ლ. შეყრილაძე...

ახლა ორიოდე სიტყვა საფარიკაო სტატისტიკის მოყვარულთათვის: ნუგზარ ასათიანმა, ქართველ მოფარიკავეთაგან ალბათ ერთ-ერთმა ყველაზე უდრეკმა და მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენმა, თავისი კარიერის მანძილზე ოთხჯერ მოიპოვა საკავშირო თასი! ეს ჯერჯერობით საკავშირო რეკორდია ფარიკაობის ყველა სახეობისთვის.

საკავშირო თასის გათამაშება 1958 წელს დაფუძნდა. იგი მსწრაფლ იქცა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურნირად. ვინ იყვნენ თასის პირველი მფლობელნი? ქალებში — მოსკოველი ვ. რასტვოროვა, რაპირისტ ვაჟებში — ი. სისიკინი (სარატოვი), ესპადრონისტებში — მოსკოველი დ. ტიშლერი, დაშნით მებრძოლებში — ერევნელი ვ. ჩერნიკოვი.

გადიოდა წლები, იცვლებოდნენ თასის მფლობელები. ამ ჯილდოს მოპოვება ისევე საპატიო გახდა, როგორც ჩემპიონობა, მით უმეტეს, რომ ამჟამად თასის გათამაშებაში მოპოვებული წარმატება ამდიდრებს მუშკეტერთა ეგრეთ წოდებულ წლიურ ქულათა ყულაბას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოფარიკავე სეზონის განმავლობაში სხვადასხვა ტურნირში დაკავებული ადგილების მიხედვით აგროვებს საკვალიფიკაციო ქულებს, რაც განსაზღვრავს მის მდგომარეობას უმაღლეს საფარიკაო ელიტაში.

ახლა დავუბრუნდეთ თასის წლევანდელ გათამაშებას, რომელიც დღეს თბილისის სპორტის სასახლეში აიღებს სტარტს. ვინ აღმართავს საზეიმო ვითარებაში შეჯიბრების ალამს, ანუ ვინ არიან შარშანდელი თასის მფლობელები?

იცნობდეთ: მეხიკოს ოლიმპიადის ოქროს რაპირა, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, მინსკელი ე. ბელოვა, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები — კიეველი ვ. პუტიატინი, ლენინგრადელი ე. ვინოკუროვი, ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავე, კიეველი ი. ვიტებსკი.

შურთ, ნამდვილად ჯანსაღი შურით შურთ თბილისისა ამ დღეებში ქვეყნის სხვა საფარიკაო ცენტრებს. მართლაც, საკმარისია გადაავლო თვალი თბილისის ტურნირში მონაწილეთა სიას, რომ ჩასწვდე ამ შურის მიზეზს. ფარიკაობის თაყვანისმცემლები თავიანთი თვალით და არა ტელეეკრანზე იხილავენ მუშკეტერთა სპორტის სწორუპოვარ ოსტატებს, ყოველნაირი ტიტულების მფლობელებს: ა. ზაბელინას, ვ. სიდიაკს, ვ. ნაზლიმოვს, ვ. ნიკონოვას, გ. კრისს, ვ. სტანკოვიჩს, ა. კოტეშევს, ვ. ბუროჩკინას...

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

WM 74

საჭიროა დამატებითი...

ათენი, 19 დეკემბერი. ევროპის VII შესარჩევი ჯგუფის წევრმა — იუგოსლავიის ნაკრებმა წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩში ანგარიშით 4:2 (2:2) დაამარცხა საბერძნეთის ეროვნული გუნდი. ამ შეხვედრის შემდეგ იუგოსლავიის ფეხბურთელებს, ესპანელთა მსგავსად, 6 ქულა დაუგროვდათ. ამ ორივე გუნდს, ამავე დროს, გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი ბალანსიც აღმოაჩნდა.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტის გამოსავლენად ესპანეთისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს დამატებითი შეხვედრა უწევთ.

ახლა ცხრილი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ესპანეთი	4	2	2	0	8—5	6
იუგოსლავია	4	2	2	0	7—4	6
საბერძნეთი	4	0	0	4	5—11	0

ფეხბურთი

0 : 2

კამპო-გრანდე, 19 დეკემბერი. სსრ კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მეორე ამხანაგური მატჩი გამართა ბრაზილიაში. აქ იგი ადგილობრივ „ოპერარიოს“ („მუშა“) შეხვდა და დამარცხდა — 0:2.

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

99 სნაიპერი

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატებს ჰყავს საუკეთესო სნაიპერები, აი, ისინიც:

1. ა. პონომარიოვი — 152 გოლი
2. ნ. სიმონიანი — 144
3. ს. სოლოვიოვი — 143
4. გ. ფედოტოვი — 132
5. ა. ღოღობერიძე — 127
6. ვ. ივანოვი — 124
7. ო. კოპაევი — 119
8. ზ. კალოევი — 115
9. გ. ჰუსაინოვი — 115
10. ვ. მარქაროვი — 114
11. კ. ბესკოვი — 106
12. ბ. პაიჭაძე — 106
13. ვ. ვოროშილოვი — 102
14. გ. კრასნიცკი — 102
15. ბ. კაზაკოვი — 101
16. ს. სალნიკოვი — 101
17. ვ. მალოფეევი — 100
18. ე. სტრელცოვი — 100
19. ვ. ბობროვი — 97
20. ბ. აბდურაიმოვი — 94
21. გ. გუსაროვი — 91
22. ნ. დემენტიევი — 90
23. ა. გრინინი — 89
24. ვ. კანევსკი — 88
25. მ. მუსტიგინი — 88
26. ვ. ფედოტოვი — 87
27. ვ. დიომინი — 86
28. ვ. კარცევი — 86
29. ა. ილინი — 84
30. ს. მეტრეველი — 84
31. ვ. ნიკოლაევი — 83
32. გ. ნოდია — 81
33. ვ. სოკოლოვი — 81
34. ლ. ბურჩალკინი — 78
35. ს. კორშუნოვი — 78
36. ვ. პოლიკარპოვი — 76
37. ი. კონევი — 73
38. ვ. ლოტკოვი — 72
39. ი. ფალინი — 72
40. ა. ბანიშევსკი — 71
41. ვ. ლობანოვსკი — 71
42. ნ. ოსიანინი — 71
43. გ. მატვეევი — 70
44. ვ. სერებრიანიკოვი — 70
45. ო. ბაზილევიჩი — 69
46. ა. ბიბა — 69
47. გ. ჯეჯელავა — 68
48. ვ. ტროფიმოვი — 68
49. ი. ჩისლენკო — 68
50. ვ. ბარქაია — 67
51. ვ. ბუბუკინი — 67
52. ბ. ვინკოვატოვი — 66
53. შ. იამანიძე — 66
54. ვ. კოზლოვი — 66
55. ა. ზაზროევი — 64
56. ბ. ჩუჩელოვი — 64
57. ვ. ილინი — 63
58. მ. კომანი — 63
59. ა. პარამონოვი — 63
60. ა. გულევსკი — 62
61. ვ. სავდუნინი — 62
62. ვ. ხმელნიცკი — 62
63. ს. კვოჩკინი — 61
64. გ. ჟარკოვი — 60
65. ყ. ტუაევი — 59
66. ვ. პანფილოვი — 57
67. ი. სევიდოვი — 57
68. ა. ისაევი — 56
69. ა. პეტროვი — 56
70. ა. მამედოვი — 54
71. ა. მამიკინი — 54
72. ვ. პონედელნიკი — 54
73. მ. სემიჩასტნი — 54
74. ი. ბელიაევი — 53
75. ა. ესკოვი — 53
76. ი. ვშივცევი — 53
77. ს. ილინი — 53
78. ბ. კოხი — 53
79. ვ. ტერენტიევი — 52
80. ი. მიტრონოვი — 51
81. ვ. პანიუკოვი — 51
82. ი. საბო — 51
83. გ. ფედოსოვი — 51
84. ო. ზანაზანიანი — 50
85. ა. კოროტკოვი — 50
86. ვ. მასლოვი — 50
87. გ. ბონდარენკო — 49
88. ა. ბიშოვეცი — 49
89. ნ. კაზარიანი — 49
90. მ. მესხი — 49
91. ა. პუზაჩი — 49
92. ი. სეკეჩი — 49
93. ო. სერგეევი — 49
94. გ. აპუხტინი — 48
95. ა. ვასილიევი — 48
96. გ. გლაზკოვი — 48
97. ს. კაპელკინი — 48
98. ი. კომაროვი — 48
99. მ. იაკუშინი — 48.

ნ. ცერცვაძე.

გოლები, გოლები...

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა წლეულს 45 ოფიციალური მატჩი გამართეს. აქედან 20 შეხვედრა მოიგეს, 12 ფრედ დაამთავრეს და 13 წააგეს; ბურთების ბალანსია 66—47 (შევნიშნავთ, რომ ანგარიშები შევკრიბეთ შეხვედრათა ძირითადი დროის მიხედვით, პენალტების გარეშე).

თბილისელებს ასეთი შედეგები აქვთ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
უეფა-ს თასი	6	3	1	2	14—10
საკავშირო პირველობა	30	13	7	10	42—33
სსრ კავშირის თასი	4	1	2	1	4—3
საერთაშ. ამხანაგური მატჩები	5	3	2	0	6—1

დინამოელთა 66 გოლი ასე ნაწილდება:

	უეფა-ს თასი	სსრ კავშირის ჩემპიონატი	სსრ კავშირის თასი	საერთაშ. ამხან. მატჩები	სულ
1. გ. ნოდია	3	11	1	—	15
2. დ. ყიფიანი	3	5	—	3	11
3. ვ. გუცაევი	—	4	—	2	6
4. მ. მაჩაიძე	1	4	—	—	5
5. ფ. რეხვიაშვილი	—	4	—	1	5
6. ზ. ებრალიძე	1	3	—	—	4
7. ზ. წერეთელი	1	2	1	—	4
8. კ. ასათიანი	1	2	1	—	4
9. გ. გავაშელი	1	2	—	—	3
10. მ. ხურცილავა	—	3	—	—	3
11. ლ. ნოდია	2	—	—	—	2
12. ბ. მჭედლიშვილი	—	1	1	—	2
13. ვ. ჭელიძე	1	—	—	—	1

1 გოლი საკუთარ კარში გაიტანა როსტოვის არმიელმა ე. ალექსანდროვმა (საკავშირო ჩემპიონატის მატჩი).

შარშანდელთან შედარებით გუნდმა 4-ით ნაკლები თამაში ჩაატარა და 35-ით ნაკლები გოლი გაიტანა. შემცირება მოხდა საერთაშორისო ამხანაგური მატჩების მიზეზით: წლეულს 6 გოლი, შარშან — 49. ეს ფაქტი გამოწვეულია როგორც წლევანდელი მატჩების სიმცირით (5 მატჩი 11-ის წინააღმდეგ), ისე მეტოქეთა სიძლიერითაც შარშანდელთან შედარებით. გაგახსენებთ, რომ წლეულს თბილისელები მხოლოდ ძლიერ საკლუბო გუნდებს შეხვდნენ (დასავლეთ ბერლინის „ჰერტას“, მადრიდის „ატლეტიკოს“, ლისაბონის „ბენფიკას“, სტამბულის „ბეშიქთაშს“ — ორჯერ), შარშან კი, ალბათ გახსოვთ, რა ადვილად ასრულებდნენ „ჰეტ-ტრიკებს“ შრილანკას რესპუბლიკის ფეხბურთელებთან შეხვედრებში.

ამავე მიზეზითაა, რომ გუნდის საუკეთესო ბომბარდირთა შედეგებმა საგრძნობლად იკლო. მაგალითად, გ. ნოდიას შარშან 26 გოლი ჰქონდა გატანილი, დ. ყიფიანს — 17, ფ. რეხვიაშვილს — 10, ლ. ნოდიას — 9...

თბილისის „დინამოს“ ახლანდელი შემადგენლობიდან სსრ კავშირის ჩემპიონატებში გატანილი ბურთების მხრივ ასეთი მდგომარეობაა: გ. ნოდია — 81 გოლი, გ. გავაშელი — 48, კ. ასათიანი — 25, მ. ხურცილავა, დ. ყიფიანი — 14-14, გ. პეტრიაშვილი — 13, მ. მაჩაიძე, ვ. გუცაევი — 12-12, ლ. ნოდია — 11, ფ. რეხვიაშვილი — 8, ბ. მჭედლიშვილი — 5, რ. ძოძუაშვილი, ზ. ებრალიძე — 4-4, ვ. ჭელიძე — 2.

თბილისის „დინამოს“ ისტორიაში გუნდის 20 საუკეთესო ბომბარდირის სია ამჟამად ასეთია: 1. ა. ღოღობერიძე — 127 გოლი, 2. ბ. პაიჭაძე — 106, 3. ზ. კალოევი — 95 (სულ უმაღლეს ლიგაში — 115), 4. გ. ნოდია — 72 (81), 5. გ. ჯეჯელავა — 68, 6. ვ. ბარქაია — 67, 7. შ. იამანიძე — 66, 8. ს. მეტრეველი 53 (84), 9. მ. მესხი — 49, 10. გ. გავაშელი — 48, 11. ბ. დათუნაშვილი — 46, 12. ვ. პანიუკოვი — 44 (51), 13-14. გ. ანთაძე, ვ. ზერეგნოი — 40-40, 15. ა. ზაზროევი — 36 (64), 16. თ. მელაშვილი — 35, 17-18. მ. ბერძენიშვილი, რ. მახარაძე — 34-34, 19. კ. გაგნიძე — 32, 20. ა. ჭკუასელი — 29.

ზ. ზარაუანიძე.

მხოლოდ ორი სპორტსმენი

ახლახან ვილნიუსში გაიმართა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ფიგურულ ციგურაობაში მოზარდთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა ამ შეჯიბრებაში მისთვის უჩვეულო ადგილი დაიკავა: სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში მოექცა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საქართველოს ნაკრების ღირსებას ამ შეჯიბრებაში მხოლოდ „განთიადის“ ორი წარმომადგენელი იცავდა — მარინე ცერცვაძე და ლია გაშელაია.

უკვე ეს ფაქტი იძლევა დაფიქრების საბაბს: სპარტაკიადის წინ, როცა ყველა სპორტსმენი ცდილობს რაც შეიძლება ბევრჯერ მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა ასპარეზობაში, კიდევ ერთხელ შეამოწმოს თავისი მომზადება, ჩვენი ფიგურისტები უეცრად უარს ამბობენ ისეთ შეჯიბრებაში გამოსვლაზე, სადაც საქართველოს ნაკრებს არაერთხელ მოუპოვებია წარმატება. მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ გუნდმა ამჯერად ვერ მოაწყო საწვრთნელი შეკრება რესპუბლიკის გარეთ (თბილისში სტანდარტული ზომის საციგურაო არ არის). ეს მით უფრო დასანანია, რომ საქართველოში ახლა გვყავს მოციგურავეები, რომელთაც შესწევთ ძალა წარმატებით დაიცვან რესპუბლიკის სახელი.

ვილნიუსში მოზარდთა ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარეობდა ქალთა საკავშირო შეჯიბრების III ტური (ტურების მიხედვით ასპარეზობის ჩატარება აუცილებელი გახდა ქალთა ერთეულების ციგურაობაში არსებული ნაკლოვანებების გამო).

ამ შეჯიბრებაზე პერსონალურად იყვნენ მიწვეული ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მოციგურავეები მარინე ცერცვაძე და ლია გაშელაია. მკითხველმა უკვე იცის, რომ გამარჯვებული სამჭიდის ჯამის მიხედვით ვლინდება. პირველ დღეს, ეგრეთ წოდებული „სკოლის“ შესრულებისას, ჩვენმა გოგონებმა რამდენიმე უზუსტობა დაუშვეს, რის გამოც XIII (ცერცვაძე) და XV (გაშელაია) ადგილებზე დარჩნენ. თუმცა იმედი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული, ვინაიდან ისინი სწორედ ნებისმიერ პროგრამაში არიან ბევრად უფრო ძლიერნი.

შემდეგ ისინი მართლაც საუცხოოდ გამოვიდნენ და მაყურებელი მოხიბლეს ოსტატობით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 13 წლის თბილისელი მოსწავლე ლია გაშელაია, რომელსაც მწვრთნელი ი. ჯაფარიძე ავარჯიშებს. მისი ნებისმიერი პროგრამა შედგენილი იყო ურთულესი მოძრაობებითა და ხტომებით, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ორი ხტომა სამმაგი სალხოვით. ნებისმიერი პროგრამის მაღალტექნიკურად შესრულებისთვის ლიას ერთხმად მიაკუთვნეს I ადგილი. მხოლოდ „სკოლის“ შესრულების წარუმატებლობამ დატოვა ჩვენი მოციგურავე III ადგილზე საბოლოო ჯამში.

(დასასრული მე-4 გვ.).

XXXIII
თბილისი
1973
1974

შეცდომა...

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. 19 დეკემბერი. IV ტური.

ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — მ. შული (ლვოვი) 0:1, ტ. ფომინა (ტალინი) — ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი) 0:1, ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) — ქ. ზვორიკინა (მინსკი) 0,5:0,5, ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) 1:0, ო. პედკო (სოჭი) — ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი) 0,5:0,5, მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — ა. კისლოვა (ომსკი) 0:1, ტ. მოროზოვა (ლვოვი) — ლ. სემიონოვა (კიევი) 1:0, ი. მატვეევა (ალმაათა)—ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) 0:1. გადაიდო ვ. სტერნინა (მოსკოვი) — ნ. ალიოხინას (ვორონეჟი) პარტია. არ შედგა ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — ნ. გაფრინდაშვილის (თბილისი) შეხვედრა.

ზატულოვსკაია და პედკო ყაიმზე შეთანხმდნენ III ტურის გადადებულ პარტიაში.

ოთხი ტურის შემდეგ კოზლოვსკაიას 4 ქულა აქვს, პედკოს — 3, შულს — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ზვორიკინას — 2,5, გაფრინდაშვილსა და მულენკოს — 2-2 ქულა და ერთმანეთში გამოტოვებული პარტია, სემიონოვას, გრინფელდს — 2-2.

ცაიტნოტში შეცდომა რა გასაკვირია: სიჩქარეში, ოღონდ კი მოასწროს საკონტროლო სვლების გაკეთება, მოჭადრაკე ბევრ რამეს ვერ ამჩნევს.

ჩიბურდანიძემ სიცილიურ დაცვაში ფიგურები საუცხოოდ რომ გაავითარა, ცენტრში სტრატეგიული გარღვევა ვეღარ განახორციელა და უარესი პოზიცია მიიღო. მერე მას ლაზიერის დათმობა მოუხდა ორ ეტლში. ამასობაში ცაიტნოტიც მოახლოვდა. კისლოვას სიფხიზლე მოუდუნდა.



აქ კისლოვამ (შავები) 37. ... ლd3? ითამაშა. ნორჩ მოჭადრაკეს შეეძლო პარტია გადაერჩინა შავ მეფეზე მუდმივი თავდასხმით: 38. ეa8+ მფb7 39. ე1a7+ მფb6 40. ეa6+ მფc5 41. ეa5+. მეფეს არ შეუძლია d ვერტიკალზე გადასვლა ლაზიერის წაგების საფრთხის გამო. ჩიბურდანიძემ ეს ვერ შეამჩნია.

შეიძლება ბორისენკოსაც გაუგო კაცმა.



ამ პოზიციაში ბორისენკო (თეთრები) 27. მg4-ით ადვილად უგებდა შულს.

— ყველა ვარიანტში შავები მატერიალურად დიდად ზარალდებოდნენ. რატომ ვერ შეამჩნიე ეს? — უსაყვედურა მოჭადრაკე ქალს მისმა მეუღლემ, ოსტატმა გ. ბორისენკომ.

— ვარიანტების გაანგარიშებამ დამღალა. მართლაც, მხედრის ეს სვლა როგორ გამომრჩა? — თქვა ვალენტინამ. იგი 53 წლისაა და, რა თქმა უნდა, აღარ აქვს უწინდებურად სწრაფი რეაქცია.

პარტია კი ასე გაგრძელდა: 27. d5? ლd6 28. კf4 ლb4 29. f3 (სჯობდა 29. ეf1) 29. ... კ:d5 30. მd3 ლd4+ 31. მფh1 ეb7 32. კ:d5 ე:d5 33. მe5 კb4 34. ეc1 ლd1+. თეთრები დანებდნენ.

მაგრამ გულგრილად ვერ შეურიგდები მატვეევას საოცარ შეცდომას პარტიის დასაწყისში.

მატვეევა — კოზლოვსკაია

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. c3 მf6 3. e5 მd5 4. d4 e6 5. მf3 cd 6. ლ:d4 მc6 7. ლe4 f5 8. ლc2 ლc7 9. კe2 მ:e5 10. 0—0 მf6 11. მ:e5 ლ:e5 12. მd2?? ლ:e2. მატვეევა დანებდა.

იქნებ მასაც უმტყუნა წამით საჭადრაკო მხედველობამ. შეიძლება. მაგრამ მსგავსი „რეკორდები“ ჩემპიონატს დიდებას ვერ შემატებს.

ზატულოვსკაიაც შეცდა გრინფელდთან. მან სტრატეგიული ხასიათის შეცდომა დაუშვა და ახალგაზრდა მეტოქის ლამაზი კომბინაციის მსხვერპლი გახდა. ეს ფინალი ჯერჯერობით საუკეთესოა ტურნირში.



გრინფელდმა უკეთესად გაავითარა ფიგურები. კომბინაცია ბრძოლას ლოგიკურად აგრძელებს: 17. მ:f7 ლe7 (აგებს მხედრის აყვანა. ამაში თავად დარწმუნდებით სახელდახელო ანალიზით) 18. მe5 მფh7 19. ლg4 g5 20. ლh5 მფg8 21. მg6 ლe8 22. მ:g5 კc8 23. მ:e6 ლf7 24. ლ:f5 ლ:f5 25. მe:f8+. ზატულოვსკაია დანებდა.

— ჩემი შეცდომა სხვა ხასიათისა იყო: შევცდი პოზიციის შეფასებაში და ყაიმზე ნაადრევად შევუთანხმდი მეტოქეს, — თქვა ზვორიკინამ.

შეცდომები რომ არ იყოს, ბრძოლაც საინტერესო არ იქნებოდა, მაგრამ შეცდომას გააჩნია.

თ. გიორგაძე.

ვ. პ. ჯაველიძე

გარდაიცვალა საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობისა და მედიცინის ერთ-ერთი უძველესი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, სკკპ წევრი 1941 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ვლადიმერ პავლეს ძე ჯაველიძე.

ვ. ჯაველიძე დაიბადა 1891 წელს ოზურგეთის მაზრის (ახლანდელი მახარაძის რაიონი) სოფელ ვაკიჯვარში. 1914-1918 წლებში, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, დაამთავრა კავკასიის მე-3 დივიზიის საფერშლო სკოლა, 1931 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მიიწვიეს იმავე წელს დაარსებულ საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სამკურნალო ფიზიკური კულტურის დარგში სამუშაოდ. ვ. ჯაველიძე მალე დაეუფლა სპორტული მედიცინის ახალ დარგს. 1935 წელს, როცა თბილისის უნივერსიტეტთან გაიხსნა ფიზკულტურის ფაკულტეტი, იგი საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზიკური კულტურის კათედრაზე გადაიყვანეს მასწავლებლად. ვ. ჯაველიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აღნიშნულ კათედრას და სტუდენტთა სამედიცინო მომსახურებას.

1965 წლიდან იგი პენსიონერია.

თვალსაჩინოა ვ. ჯაველიძის დამსახურება დიდი სამამულო ომის პერიოდშიც. იგი იყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ლაზარეთებისთვის სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტთა მომზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

თავისი მდიდარი გამოცდილება და თეორიული ცოდნა ვ. ჯაველიძემ მეცნიერულად განაზოგადა საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც 1963 წელს დაიცვა. მის კალამს ეკუთვნის 15 სამეცნიერო შრომა.

ვ. ჯაველიძე ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას. წლების მანძილზე იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

დაკისრებული მოვალეობის უანგაროდ შემსრულებელი, შესანიშნავი პედაგოგი, აღმზრდელი და მეცნიერი, პატიოსანი, სიმართლის მოყვარული, ყველასთვის სამაგალითო — სწორედ ასეთ ადამიანად დარჩება ვ. ჯაველიძე მისი აღზრდილების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი;
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი;
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.



ობიექტივში მსოფლიო

✓

მსგავსი შემთხვევები სპორტსმენთა შეჯიბრებებში იშვიათად ხდება: ქვედა სურათზე თქვენ ხედავთ ველოსიპედისტთა ერთ-ერთი შეჯიბრების მომენტს. № 14 მაისურით მოასპარეზე სპორტსმენის შარვალმა „ნერვულ დაძაბულობას“ ვერ გაუძლო და თავისი პატრონი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ზედა ფოტოსურათი გადაღებულია მძლეოსანთა შეჯიბრებაზე. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის დროს ერთ-ერთმა მონაწილემ ვერ მოზომა და პირდაპირ თავით გადაეშვა დაბრკოლების იქით დაგუბებულ წყალში.

კაფ-ისა და ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.



მხოლოდ ორი სპორტსმენი

დასასრული

მეორე ჩვენი წარმომადგენელი — მარინე ცერცვაძე — გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ პირველად ჩაება შეჯიბრებაში. მიუხედავად ამისა, იგი შესანიშნავად სრიალებდა ტურნირის მეორე და მესამე დღეს. საბოლოოდ მარინე VII ადგილს დასჯერდა, მაგრამ ყველა გააცვიფრა სამმაგი რიტბერგერის შესრულებით. საბჭოთა მოციგურავე ქალთაგან ეს ილეთი ჯერ არავის შეუსრულებია.

გოგონათა შორის I ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ნ. რაკომსა. II ადგილზე მისი თანაქალაქელი ლ. პანჩინა აღმოჩნდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლენინგრადელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ სამ სახეობაში გაიმარჯვეს. მხოლოდ სპორტულ ცეკვაში იმარჯვეს ესტონეთის წარმომადგენლებმა ნ. ტოკარევამ და ა. სალნიკოვმა.

დანარჩენ ორ სახეობაში ბადალი არ ჰყავდათ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. მიშინის მოწაფეებს. ა. მაროვს (ვაჟთა შორის გამარჯვებული), აგრეთვე, მ. კოზირევისა და გ. ლებედევის წყვილს.

ჩვენს სპორტსმენებს აქვთ ძალა, რომ მეტს მიაღწიონ. მიაღწევენ კიდეც; ნორმალური საწვრთნელი რომ ჰქონდეთ. მაგრამ ჩვენი ყინულის სარბიელი ორჯერ პატარაა სტანდარტულზე.

დღეს, როცა ქართველი მოციგურავეები უკვე იხვეჭენ სახელს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებზე, ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის სპორტის მესვეურნი იზრუნებენ სათანადო ბაზის შექმნისთვის. სხვაგვარად ოსტატობის სრულყოფაზე ლაპარაკი ზედმეტია.

გ. იაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 08623